

არმათიონის წმიდა გიორგის ეკლესიის
სახელწოდების განმარტებისათვის

(ჰაგიონიმიკური შენიშვნა)

წმ. გიორგის სახელზე საქართველოში მრავალი ეკლესია აუგიათ შუა საუკუნეებში. ამ ფაქტს ვახუშტი ბატონიშვილი ასე ადასტურებს თავის საისტორიო ნაშრომში: „არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი, და ესეცა ამის მიერ იწოდა“¹ (ე. ი. წმიდა გიორგისადმი განსაკუთრებული პატივისცემის გამო ეწოდა საქართველოს „გეორგიაო“).

წმ. გიორგის ერთ-ერთი ეკლესია, რომელიც ქიზიყის სოფელ ზემო მაჩხაანში მდებარეობს, „არმათიონის“ სახელწოდებითაა ცნობილი – „არმათიონის წმინდა გიორგი“.

ეს სახელწოდება თავის ერთ-ერთ ტოპონიმიკურ ნაშრომში დაფიქსირებული აქვს ალ. ლლონტს,² რომელიც „არმათიონის“ პარალელურ ფორმად აღნიშნავს „ალმართიონს“, თითქოსდა „არმათიონი“ „ალმართიონის“ დამახინჯებული ფორმა იყოს. ვფიქრობთ, ეკლესიას თავდაპირველად „ალმართიონი“ რომ რქმეოდა, მისი სახელის ასეთი დამახინჯება მოსალოდნელი არ იქნებოდა, რადგანაც სიტყვა „ალმართი“, რომლიდანაც თითქოს „ალმართიონი“ აწარმოეს, ყველასათვის ცნობილი სიტყვაა და ბუნდოვან „არმათიონად“ მის გარდაქმნის არავითარი საფუძველი არ შეიძლება ჰქონოდა.³ ადგილობრივი

1 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა: ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973, 40.

2 ალ. ლლონტი, ქიზიყის ტოპონიმიკა, თბ., 1982, 34.

3 პირიქით, „არმათიონი“ „ალმართიონად“ რომ გარდაქმნილიყო, ეს უფრო მოსალოდნელი იქნებოდა, რადგან ბუნდოვანი შინაარსის ტოპონიმის ეტიმოლოგიზაციის („გაშინაარსიანების“) მცდელობა სავსებით ლოგიკური მოვლენაა. სწორედ ეს მოხდა ალ. ლლონტის ნაშრომში, თორემ მაჩხაანელებს „ალმართიონი“ არასოდეს უწოდებიათ ამ ეკლესიისათვის. მეცნიერული ეტიმოლოგიების გარდა, არსებობს ე.წ. „ხალხური ეტიმოლოგიები“, რისი შედეგიცაა, მაგალითად, „ესტატიწმიდის“ მცირედ სახეცვლილი ფორმიდან – „ესტაწმინდიდან“ – „ერთაწმიდის“ წარმოქმნა; „ძელი-პატიოსნიდან“ – „გძელი პატიოსნისა“; „მეჯუდის ხევიდან“ –

მოსახლეობის გამოკითხვით ჩვენ დავადგინეთ, რომ ასეთი პარალელური ფორმა რეალურად არც არსებობს.⁴ ალ. ლლონტის ნაშრომში საქმე გვაქვს გაუგებარი სემანტიკის ტოპონიმის „არმათიონისა“ და უღერადობით მასთან ახლოს მდგომი სიტყვის – „ალმართის“ – ნებისმიერ დაკავშირებასთან.

როგორც ზემო მარხაანისა და მისი მეზობელი სოფლის – ბოდბის უხუცესი მკვიდრნი გადმოგვცემენ, არმათიონი ჰქვია არა მიმდებარე უბანსა თუ ადგილს, არამედ მხოლოდ წმიდა გიორგის ეკლესიას, რომელიც სოფლის შუაგულში მდებარეობს. ჩვენს მრავალგზის შეკითხვაზე, ხომ არ გამოხატავს ეს სახელი სოფლის რომელიმე საგვარეულოსადმი ეკლესიის კუთვნილებას, ან სხვა რაიმე სამახსოვრო მოვლენას, ყველა ხაზგასმით გვპასუხობდა უარით. მაშასადამე, „არმათიონი“ მხოლოდ წმიდა გიორგის ეკლესიის სახელია („არმათიონის წმიდა გიორგი“), ანუ წმინდა ჰაგიონიმი, და არა ტოპონიმი, ჩვეულებრივი მნიშვნელობით.

ბუნდოვანი უღერადობის ჰაგიონიმის წარმომავლობის გარკვევისათვის, პირველ ყოვლისა, აუცილებელია ამ სახელით აღნიშნული საგნისა თუ მოვლენის რაობის გარკვევა; ჩვენს შემთხვევაში – იმის გამოძიება, თუ რითი განსხვავდება „არმათიონის წმიდა გიორგის“ ეკლესია ამავე წმიდის სახელობის სხვა ეკლესიებისაგან.

ამ საქმეში ისევ ადგილობრივ მოხუცებულთა გადმოცემა დაგვეხმარა. მათ ჩვენი ყურადღება მიაპყრეს იმ ფაქტს, რომ ამ ეკლესიაში, ძველთაგან მომდინარე ჩვეულების თანახმად, მხოლოდ შემოდგომაზე, 10 ნოემბერს (ძვ. სტილით) აღნიშნავენ გიორგობის დღესასწაულს. მათივე დაკვირვებით, იგივე დღესასწაული განსაკუთრებული ზემოთ აღინიშნება ძველი გავაზის წმიდა გიორგის ეკლესიაში (ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფლის მახლობლად, მდინარეების – ავანისწყლისა და ქვაწერის შესართავში, ტყით დაფარულ მაღალ კონცხზე).⁵ სხვა ეკლესიებში კი, როგორც ცნობილია, გიორგობას წელიწადში ორჯერ – 23 აპრილსა და 10 ნოემბერს დღესასწაულობენ.⁶

„მეფერისხევისა“ და ა.შ. (იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები: თხზულებანი ტ. III, თბ., 1980, 139-140).

4 ზემო მარხაანი ჩემი მშობლიური სოფლიდან – ქვემო ბოდბიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. იქ პირველად 1968 წელს ვიყავი. ოჯახური საჭიროებების გამო ამის შემდეგაც ხშირად მიხდებოდა იქ ყოფნა, და, ამდენად, საშუალება მქონდა, პრაქტიკულად შემეთვისებინა ადგილობრივი ტოპონიმი.

5 ეს ფაქტი დაგვიდასტურეს სოფ. ახალსოფლის მკვიდრთაც. იხ. აგრეთვე: ლ. ჭილაშვილი, ძველი გავაზი, თბ., 1975, 75-80.

6 ინფორმატორთა ცნობით, გავაზში 23 აპრილსაც აღინიშნება გიორგობა, მაგრამ ამ დროს თითო-ოროლა მლოცველი მიდის სალოცავში, 10 ნოემბრის გიორგობაზე კი ხალხითაა გაჭედილი არა მარტო წმ. გიორგის ეკლესია, არამედ ავანისწყლის ხეობა და მოსალოცი ადგილი კოპალე (იხ. ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ.,

ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში 10 ნოემბრის გიორგობის უძველესი (ადრებიზანტიური) წარმომავლობის საკითხი შესწავლილია კ. კეკელიძის მიერ.⁷ ეს დღესასწაული აღნიშნულია ჯერ კიდევ VII საუკუნის “იერუსალიმურ განჩინებაში”⁸ X საუკუნის მოღვაწე იოანე-ზოსიმეც იძლევა კალენდარულ ცნობას 10 ნოემბრის გიორგობის შესახებ. მისი სიტყვით, ამ დღეს აღინიშნებოდა “ენბიგლონს დაბასა კსენებად წმიდისა გიორგისი და სატფური ეკლესიისა”⁹

წმ. გიორგის წამება რამდენიმე რედაქციითაა ცნობილი.¹⁰ ამათგან ერთ-ერთს, სახელდობრ, სვმეონ ლოგოთეტის თხზულების ეფთვიმე მთაწმიდელისეულ თარგმანს, მოეპოვება კალენდარული შენიშვნა 10 ნოემბრის გიორგობის შესახებ: “თვესა ნოემბერსა ი, და აპრილსა კგ, წამებად და შესხმად წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა გიორგისი”¹¹ სხვა რედაქციები კი წმ. გიორგის ხსენების დღედ აცხადებენ მხოლოდ 23 აპრილს.

„უძველესი იადგარის“ თანახმად, წმ. გიორგის ხსენებას ეძღვნებოდა კიდევ ერთი დღე – 3 ნოემბერი.¹² “იერუსალიმურ განჩინებაში” ეს დღე არ ჩანს. მის ნაცვლად, როგორც ვთქვით, იქ აღნიშნულია 10 ნოემბერი, იოანე-ზოსიმეს კალენდარში კი შეტანილია ორივე თარიღი.

„უძველესი იადგარის“ გამომცემელნი, ეყრდნობიან რა ყ. გარბიტის კომენტარებს, აღნიშნავენ ქართულ ხელნაწერებში 10 ნოემბრის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციის თანმიმდევრულობას.¹³

გიორგი მთაწმიდელის “დიდი სვნაქსარის” მოწმობით, საბერძ-

12-35). უნდა შევნიშნოთ, რომ 10 ნოემბერს წმ. გიორგის ხსენების პატივსაცემად დიდი დღესასწაული იმართება მატანშიც (ახმეტის რაიონი). ეს დღე „დიდბატონობის“ სახელითაა ცნობილი (იხ. 1963 წლის “საქართველოს ეკლესიის კალენდარი”, 67).

7 К.Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века, Тифлис, 1912, 282-286; მისივე: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, 53-54.

8 К.Кекелидзе, Иерусалимский канонарь, 142.

9 კ. კეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი. იხ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, 1957, 275.

10 კ. კეკელიძე, ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია. იხ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, 1957, 122, 165-166. ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბ., 2004, 162-164. ტექსტები გამომცემულია: წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, გამოსაცემად მოამზადა ე. გაბიძაშვილმა, თბ., 1991.

11 ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: Ath.79 (990 წ.), 98r-128v; A50 (მეტაფრასი, XII ს.), 15-28; ქუთ. 127 (XVII-XVIII), 1r-128r; იხ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვ. I, 1986, 118; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, 162. ტექსტი გამომცემულია: წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, 160-178.

12 უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურანიამ, თბ., 1980, 728.

13 იქვე,

ნეთის ეკლესიაში ძველთაგანვე დაწესებული ეს დღესასწაული XI ს-ში უკვე “არა დიად“ (ე.ი. დიდი ზემის გარეშე) იდღესასწაულებოდა, დროთა განმავლობაში კი სრულიად მივიწყებულა. ამრიგად, წმ. გიორგის მოსახსენებლად ბერძნებმა დატოვეს მხოლოდ 23 აპრილი და 3 ნოემბერი.¹⁴

რა იდღესასწაულებოდა 10 ნოემბერს?

იმავე სვინაქსარის ცნობით, ეს იყო “წმიდისა მოწამისა გიორგის ურმის თუალსა შესღვად, რაჟამს დაჰკრეს იგი ურმის თუალსა“.¹⁵ ეს დღესასწაული ქართველებმა ერთგულად შემოინახეს, რადგან, მათი აზრით, “არარაჲ არს ყენებაჲ, რადთა ჩუენ ვდღესასწაულობდეთ, რამეთუ ჩუენ პირველითგან ესრეთ გუაქუს ჩუეულებაჲ“.¹⁶

კ. კეკელიძის აზრით, გიორგი მთაწმიდელის ეს ცნობა მოწმობს არა ხსენებული ჰეორტოლოგიური ფაქტის აზრისა და მნიშვნელობის სწორ გაგებას, არამედ, პირიქით, – ქართველთა შორის (და მის ყველაზე მოწინავე ნაწილშიც კი, რომელსაც გიორგი მთაწმიდელი მიეკუთვნებოდა) ძველქართული ეკლესიის იმ ნორმების დავიწყებას, რომლებიც მას (ქართულ ეკლესიას) პალესტინასთან, და, კერძოდ, იერუსალიმთან ანათესავებდა. წმ. გიორგის ცხოვრებიდან ერთი ფაქტის (თუნდაც ურმის თვალზე შესვლის) ამოგლეჯა და მისი საგანგე-

14 3 ნოემბერს აღინიშნებოდა ლუდიის ეკლესიის სატფურების (განახლების) დღესასწაული. ლუდიის ეკლესიის აშენების შესახებ მოთხრობილია აპოკრიფულ წიგნში, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზეა ცნობილი: “წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან, მოწაფემან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესმან, და უწყებაჲ აღდგომისათუს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, და თხრობაჲ აღშენებისათუს ეკლესიისა, რომელ-იგი არს ლუდს შინა, ქალაქსა წმიდისა დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა მარადისქალწულისა მარიამისა.“ ტექსტი დაცულია XI ს-ის Ath.7 ხელნაწერში. აპოკრიფის სხვა რედაქცია დაცულია X ს-ის კლარჯულ მრავალთავში (A144, 91v-97r) და რამდენიმე სხვა ხელნაწერში (Ath.9, A249, A56, A1142). ტექსტი პირველად გამოსცა ნ. მარმა (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, т. II, СПб, 1900, 5-72); შემდეგ, კლარჯული მრავალთავის მიხედვით – თ. მაგლობლიშვილმა (კლარჯული მრავალთავი, თბ., 1991, 294-300). იხ. აგრეთვე: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 443. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვ. I, 39. ე. გაბიაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ტ. 4; ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, თბ., 2009, 415-416. ლუდიის ეკლესია წმ. გიორგის სახელს უკავშირდება იმდენად, რამდენადაც იქ დაუსვენებიათ მისი ნაწილები.

15 A193, 64v. სვინაქსარის სხვა ხელნაწერების შესახებ იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვ. I, 90. იხ. აგრეთვე: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2003, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ტაძრის გამოცემა, 3.

16 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვ. I, 90. სვინაქსარის ჰაგიოლოგიური ნაწილის ტექსტი გამოაქვეყნა მ. დოლაქიძემ. იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2003, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ტაძრის გამოცემა, 240.

ბო მოხსენიება 10 ნოემბერს, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო.¹⁷

კ. კეკელიძის დასკვნით, 10 ნოემბერს იღვესასწაულებოდა არა ურმის თვალზე წმ. გიორგის წამება, არამედ წარგზავნა (отдание), უფრო კი – სწორი ლუდიის ეკლესიის განახლების დღესასწაულისა, რომელიც 3 ნოემბერსაა დადებული.¹⁸ ეს თვალსაზრისი, რამდენადაც იგი ემყარებოდა იერუსალიმური წესისათვის დამახასიათებელ მოვლენას – სწორის ანუ მსგეფსის აღნიშვნას და ამ მოვლენის კვალს საქართველოს სინამდვილეში (გერისთობა, სწორ-გერისთობა...) უკანასკნელ ხანებამდე არ შეცვლილა.¹⁹

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს და გიორგი მთაწმიდელის კალენდარული ცნობის სინამდვილეს მხარს უჭერს ქიზიყში შემორჩენილი ჰაგიონიმი „არმათიონი“:

თუ ერთმანეთს დავუკავშირებთ დიდი სვინაქსარის ცნობას 10 ნოემბრის დღესასწაულის შინაარსის შესახებ (სახელდობრ, ურმის თვალზე წმ. გიორგის წამებას) და იმ ეკლესიის სახელს, სადაც ეს დღესასწაული იმართება („არმათიონი“), ბუნებრივია, ზემო მაჩხანის „არმათიონი“ უნდა მივიჩნიოთ ბერძნული ἄρμα (άρματος)-ისაგან წარმომდგარ ჰეორტოლოგიურ ტერმინად, რადგან ეს სიტყვა სწორედ ურემს (საომარ ეტლს) ნიშნავს. „არმათიონი“ (უფრო ზუსტად, „არმატიონი“) მიღებული უნდა იყოს ან ამ სიტყვის კნინობითი ფორმიდან – „არმატიონ“-იდან (ἀρμάτιον), ან „არმატ“ ძირზე ქართული „იონ“ ფორმანტის დართვით.²⁰ ეს ფორმანტი, როგორც ვიცით, კუთვნილებას (ტაძრიონი, საყდრიონი, მეფიონი, მაცრიონი, მხედრიონი...) ან წარმომავლობას აღნიშნავს (შატილიონი, ჭორმეშიონი, ატაბიონი, როშკიონი, ამლიონი...).

წმ. გიორგის ეკლესიის „არმატიონად“ მოხსენიება იმას მიგვითითებს, რომ ამ ეკლესიის სადღესასწაულო დღე – 10 ნოემბერი – ქართველებს წმ. გიორგის ურმის თვალზე წამების დღედ მიაჩნდათ. როგორც ჩანს, თავდაპირველად ასეთად მიიჩნევენ ამ დღეს ბერძნებიც; სხვანაირად, გაუგებარი იქნებოდა ქართულ ჰაგიონიმად სათანადო ბერძნული სიტყვის შემოტანა. უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვა

17 ...не столько о понимании смысла и значения трактуемого эорталогического факта, сколько об утрате, даже у лучших и передовых грузин, понимания тех норм и переживаний древне-Иверской церкви, которая роднили её с Палестиной, в частности – с Иерусалимом. Вырывать из жизни св. Георгия один факт, хотя бы колесования, и вспоминать его особо, 10 ноября, оснований никаких не представлялось (К.Кекелидзе, Иерусалимский канонарь, 285).

18 იქვე, 286.

19 უძველესი იადგარი, გვ. 728.

20 ეს აზრი მოგვაწოდა ზურაბ კიკნაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

„არმატიონი“ (← „არმატოს“) მწიგნობრული გზით შემოვიდა ქართულში, და ეკლესიის სახელად გადაქცევამდეც იხმარებოდა.

ურმის თვლის შესატყვისად წმ. გიორგის წამების ერთ-ერთ ბერძნულ ვერსიაში გვაქვს τροχός (ბორბალი): Τροχός τις ἡρμοστο παμμεγέθης, μαχαιραῖς ὀξυτάταις καταπαγεῖς.²¹ იმავე შესატყვისობას ვხედავთ ესაიას წიგნში (17,13)²² და სხვ.

ეფრემ მცირე ფსევდოდიონისე არეოპაგელის თხზულებაში – “ზეცათა მღვდელთმთავრობისათჳს” – τροχός-ს „ეტლისთუალად“ თარგმნის, „ურემს“ კი ἄρμα (ἀρμάτος)-ის გადმოსაცემად ხმარობს: “განიხილვოდედ უკუე მდინარეთაცა თქუმაჲ და ეტლისთუალთა და ურემთა შეწყობილებჲა ზეცისათა მათ არსებათათჳს”²³ (მდრ.: Ἐπισκεπτέον δὲ καὶ τὸ ποταμοῦς, εἰρήσθη καὶ τροχοῦς καὶ ἄρματα συνημένα ταῖς οὐρανίαις οὐσίαις).²⁴

წმ. გიორგის წამების სხვა ბერძნული ვერსიები²⁵ ჯერჯერობით ჩვენთვის ხელმიუწვდომელია და ამიტომაც დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, დასტურდება მათში ἄρμα ἢ „ურმის“ ისეთივე ურთიერთშესატყვისობა, როგორც ფსევდოდიონისეს თხზულების ქართულ-ბერძნულ ტექსტებში ვნახეთ, თუ იქაც τροχός წერია, მაგრამ ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ἄρμα ἢ „ურმის“ დაწყვილების ფაქტი, ვფიქრობთ, უკვე საკმარისი შეიძლება ყოფილიყო იმისათვის, რათა ურმის თვალზე წმ. გიორგის წამების დღე „არმატიონად“ წოდებულიყო, აქედან კი „არმატიონ“ ფორმის გაჩენა ძალზე იოლი იქნებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „არმატიონთან“ უღერადობით ძალზე ახლოსაა ἄρμα-ს კნინობითი ფორმა ἀρμάτιον, მაგრამ ეს ფორმა რომ ამოსავალი იყოს ქართული „არმატიონისათვის“, ამას ერთი დაბრკოლება ელოდება: როგორც ვიცით, წმ. გიორგის ცხოვრებაში საუბარია არა მცირე ურმის (ἀρμάτιον) თვალზე, არამედ დიდზე:

„... ურმისთუალი დიდი, შემზადებული მანქანებითა ფრიადითა...“²⁶

„... რადთა შექმნან ურმისთუალი დიდი...“²⁷

21 Patrologia Graeca, t. 115, col. 148

22 Septuaginta, edid. Alfred Rahlfs, Stuttgart 1979, vol. II, 589.

23 პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ნუქაშვილმა, თბ., 1061, 149. ἄρμα (ἀρμάτος)-ისა და „ურმის“ შესატყვისობის ეს მაგალითი მიგვითითა ე. ჭელიძემ. მანვე მიაქცია ჩვენი ყურადღება ἄρμα-ს კნინობით ფორმაზე – ἀρμάτιον, რისთვისაც მაღლობას მოვახსენებთ.

24 Denys Lareopagite, La hierarchie Celeste, Paris 1970, 188 (XV, 9).

25 BHG 670 etc.

26 საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამოცემა, პეტერბურლი, ჩყპბ, ნა (გვ. 51).

27 H-535 (XI ს.), 130v.

„... ურმისთუალი რადმე საშინელი...“²⁸

„... ბრძანა შექმნად ურმისთუალი დიდი...“²⁹

ამრიგად, „არმათიონის“ წარმოშობა უფრო „არმა“-ს ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე („არმატოს“-ზე) „იონ“ სუფიქსის დართვით უნდა ვივარაუდოთ.

არმათიონის წმ. გიორგის ეკლესიისაგან ადგილსა და უბანსაც რომ მიეღო სახელი, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა. საქართველოს ტოპონიმიდიან მრავალი ისეთი სოფლისა თუ ადგილის სახელები ვიცით, რომლებიც იქ არსებული ეკლესიების სახელებიდან წარმომდგარან. ასეთი ტოპონიმებია:

სამება – შიდა ქართლში, გურიაში, ლომის-ალევის ქედზე

კვირაცხოველი – ქვემო ქართლში

მთავარანგელოზი, მიქელ-გაბრიელი, შემოქმედი – გურიაში

მარტვილი – სამეგრელოში

ხონი – იმერეთში

ოქონა, იტრია (← ნიტრია), ბეთანია, საბაწმინდა, ნათლისმცემელი, ერთაწმინდა (ესტატწმინდა), კურკაწმინდა (← კვირიკეწმინდა), – შიდა ქართლში

სიონი, ბეთლემი, მამაწმინდა, სტეფანწმინდა – ხევში

ანდრიაწმინდა, მიქელწმინდა, ელიაწმინდა, ნათლისმცემელი – სამცხეში

ნინოწმინდა, გიორგიწმინდა – გარე კახეთში

ნიკორწმინდა (← ნიკოლასწმინდა) – რაჭაში

მაცხვარიში, იენაში, ლაგურკა – ზემო სვანეთში, და სხვ.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სახელი „არმათიონი“ არც ტოპონიმად ქცეულა და არც ოიკონიმად. იგი შემორჩა მხოლოდ ზემო მაჩხაანის წმ. გიორგის ეკლესიას.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის „დიდი სვინაქსარის“ კალენდარული ცნობა წმ. დიდმოწამე გიორგი კაპადოკიელის ურმისთვალზე წამების მოსახეებლად 10 ნოემბერს დაწესებული საეკლესიო დღესასწაულის არსებობის შესახებ – ისტორიულ სინამდვილედ უნდა იქნეს მიჩნეული. საბერძნეთშიც რომ ამავე შინაარსისა ყოფილა 10 ნოემბრის დღესასწაული, მოწმობს ქართული ჰაგიონიმი „არმათიონი“ (წარმომდგარი „ურმის“ მნიშვნელობის მქონე ბერძნული „არმა“ // „არმატოს“ სიტყვისაგან) – წმ. გიორგის იმ ეკლესიის სახელწოდება, რომელშიც სადღესასწაულო დღედ 10 ნოემბერია დადებული.

28 A-50 (XII ს.), 35.

29 A-395, 3r.